ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე
სააღმზრდელო დაწესებულების სამსახური

95 19 დეკემბერი 2022წ

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების მიერ 2021-2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების სამსახური აერთიანებს ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საბავშვო ბაღებს და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს. მუნიციპალიტეტში 15 ს/ბაღია, აქედან ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებულია 2, ხოლი სოფლებში 13. საბავშვო ბაღებში ჩართულია 213 აღსაზრდელი, 2022 წლის ბოლოს საბავშვო ბაღებიდან საჯარო სკოლებში გავიდა 74, ხოლი შემოვიდა 35 აღსაზრდელი.

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის სრულყოფისათვის ბიუჯეტიდან 2022 წელს გამოიყო 1 370 000 ლარი, აქედან ბავშვთა კვებაზე დაიხარჯა აღნიშნული თანხის 10 %, (130 000 ლარი), სახელფასო ფონდისათვის 71% (970 000 ლარი), დანარჩენი ხარჯებისათვის 19% (270 000ლარი).

ბავშვთა კვება წარმოებს დადგენილი ნორმების შესაბამისად სამჯერადად (საუზმე, სადილი, სამხარი). ერთ ბავშვზე დღიურად განსაზღვრულია 4,40 ლარი, 2021-2022 წელს საბავშვო ბაღებისათვის შეძენილი იქნა 27000 ლარის ინვენტარი, დიდაქტიკური თვალსაჩინოებების და საკანცელარიო საქონლისათვის დაიხარჯა 12200 ლარი, სანიტარულ-ჰიგიენური და სამეურნეო საქონლისათვის დაიხარჯა 28100 ლარი.

საბავშვო ბაღები საკვები პროდუქტებით მარაგდება ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლების მიერ. სკოლამდელი დაწესებულებების სამსახური მუდმივ ყურადღებას და კონტროლს ახორციელებს საბავშვო ბაღებში კვების ნორმების დაცვის, კვების ობიექტების მოწესრიგებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისათვის, რაც გამოიხატება სამსახურის ინსპექტირების ჯგუფის მუდმივი მეთვალყურეობით. ყოველწლიურად ვახორციელებთ საბავშვო ბაღებში საქართველოს მთავრობის 2010 წ.19 ივნისის 173 დადგენილების თაობაზე-ტექნიკური რეგლამენტის თანახმად სურსათის ჰიგიენისა და საფთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპებზე დაფუძვნებულ სისტემასთან დაკავშირებით განსაზღვული მოთხოვნების შესრულებას.

ბაღები ძირითადად დაკომპლექტებულები არიან კვალიფიციური კადრებით. აღსაზრდელების მორალურ, ფიზიკურ და ესთეტიკურ აღზრდას ემსახურება 62 პედაგოგი და 167 ტექნიკური პერსონალი.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წლის 8 ივნისს მიღებული- ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონიდან გამომდინარე ბაღებში შეიქმნა მშობელთა საკონსულტაციო საბჭოები,ასევე დაინერგა ახალი სასკოლო მზაობის პროგრამა და აღმზრდელები აქტივობებს წარმართავენ ამ პროგრამის მეშვეობით. 2021-2022 სასწავლო წლებში საქართველო განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული პროფესიული განვითარების ტრენინგ მოდულით გადამზადდა და სერთიფიცირებულია 50 აღმზრდელი.

2022წელს ადგილობრივი თვითმმართველობის დახმარებით ს/ბაღებს გადაეცა ახალი კომპიუტერები ,რომლის ღირებულებაც შეადგენ 18312 ლარს ასევე #2 ს/ბაღს საჩუქრის სახით გადაეცა ეზო-დანადგარები, რომლის ღირებულება შეადგენს 2300ლარს. ასევე მშენებლობის პროცესში არის წიფერჩისა და ქულბაქის ს/ბაღი,ხოლო ორბელის ს/ბაღში მიმდინარეობს სრული სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 14 წრე. მათ შორის: მუსიკალური-4, ქორეოგრაფიული-1, ჟურნალისტიკის- 1, მხატვრული კითხვის -1 ,დრამატული - 1, ლიტ.შემოქმედებითი - 2, მათემეტიკა- ზოგადი უნარები - 3, ხალხური საკრავები - 1.

მეცადინეობები ტარდება რეგულარულად, ცხრილის მიხედვით. სულ წრეობრივ მუშაობაში ჩართულია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 130 მოსწავლე.

მ/წელს განხორციელდა ორი კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტი: „დიდები და პატარები“ მაისის თვეში და „რომ ლექსმა შეკრას ჭრილობა ცივი“ - ნოემბრის თვეში.

25 დეკემბერს გაიმართება საახალწლო ზეიმი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და
სკოლისგარეშე სააღმზრდელო სამსახურის

უფროსი: /მ. ბურჯალიანი/